



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080117008540619

№ 1790

04 / აპრილი / 2019 წ.

**შპს „ენსისის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 21 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „ენსისის“ (ს/ნ: 206317948) 2019 წლის 21 მარტის № 02/21/03/2019 მომართვა (რეგისტრაციის № 3155), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „ენსისიმ“ 2019 წლის 2 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 2 აპრილის № 02/02/04/2019 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 3624), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 29 მარტის № 1287 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ენსისი“ (ს/ნ: 206317948) 2019 წლის 5 აპრილს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდამსულია  
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე